ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2022 | No. 3, 13-36

ISSN2667-9825(online)

ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიცია[1]

ეკატერინე ჯიქიძე

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

Transition to adulthood among Georgian youth

Ekaterine Jikidze

Master in Psychological Anthropology, TSU, Faculty of Psychology and Education

[1] „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

ზრდასრულობაში ტრანზიცია ესაა ადამიანის განვითარების პერიოდი, ფაზა, როდესაც ახალგაზრდა ინდივიდებს უწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება საკუთარი ცხოვრების შესახებ, არჩევნის გაკეთება სხვადასხვა მიმართულებით, რომლის შემდეგაც ისინი გადაინაცვლებენ ზრდასრულთა სამყაროში. ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლამ განსაკუთრებული მნიშვნელობა გლობალიზებულ და სწრაფად ცვალებად სამყაროში შეიძინა – სწრაფი სოციალური ცვლილებების ფონზე ზრდასრულობის მისაღწევად საჭირო ამოცანები მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის, ზრდასრულობაში ტრანზიცია გახანგრძლივებული პერიოდი ხდება, იდენტობის ფორმირება კი გამოწვევას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია არადასავლურ კულტურებში, სადაც ახალგაზრდებს საკუთარი თავის გამორკვევა ადგილობრივ და გლობალურ ინფომაციულ ნაკადებში უწევთ. მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლას, კერძოდ, იმის კვლევას, თუ რა მიიჩნევა ზრდასრულობაში გადასვლის ამოცანებად, როგორი გამოცდილებით, რა თავისებურებებით ხასიათდება ადამიანის განვითარების ეს გარდამავალი პერიოდი მოცემულ სოციო-კულტურულ კონტექსტში. მონაცემები შეგროვდა 11 რესპონდენტისგან სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით და დამუშავდა თემატური ანალიზით. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის მახასიათებლების აღწერა სწრაფად ცვალებად, გლობალიზებულ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: *ზრდასრულობაში ტრანზიცია, გარდამავალი ზრდასრულობა, ქართველი ახალგაზრდები, იდენტობა, გლობალიზაცია.*

ISSN2667-9825(online)

Abstract

Transition to adulthood is a period of human development, a phase when individuals have to make important decisions about their lives, make choices about different subjects, and make transition into the adult world. The study of transition to adulthood in acquired special significance in a globalized and rapidly changing world — due to fast social changes, tasks that are crucial to reach adulthood are changing as well, transition to adulthood becomes a prolonged period and forming an identity becomes a challenge. It is especially problematic for non-western cultures where young people have to find themselves in local and global information flows. The aim of this research was to study the transition of Georgian youth to adulthood, in particular to study what are considered as the tasks of transition to adulthood, what are the experiences and characteristics of this transitional period of human development in the given socio-cultural context. Data were collected through in-depth interviews with 11 respondents and processed through thematic analysis. The obtained data allow us to see the characteristics of the transition to adulhood among Georgian youth in a rapidly changing, globalized environment.

Keywords: *transition to adulthood, emerging adulthood, Georgian youth, identity, globalization.*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

ადამიანის განვითარების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლა მრავალ პერსპექტივასა და თეორიას წარმოშობს. ზრდასრულობაში ტრანზიცია ადამიანის განვითარების კვლევის მნიშვნელოვანი საკითხია, მისი აღწერა სხვადასხვა განზომილებით არის შესაძლებელი, შესაბამისად, ზრდასრულობაში ტრანზიციის კვლევით სხვადასხვა დისციპლინა ინტერესდება. ადამიანის განვითარების ამ პერიოდის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალობას იძენს თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, რაც აქამდე არსებული თეორიული დაშვებების გადახედვას საჭიროებს და ზრდასრულობაში ტრანზიციის შესახებ ახალ ხედვებს გვთავაზობს. ამ თავში წარმოდგენილია ის თეორიები თუ პერსპექტივები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ და დავინახოთ ძირითადი დაშვებები ზრდასრულობაში ტრანზიციის შესახებ.

ზრდასრულობაში ტრანზიცია ესაა პერიოდი, როდესაც ინდივიდი გადადის ზრდასრულობისკენ – ესაა გარდამავალი პერიოდი მოზარდობასა (წინაზრდასრულობას) და ადრეულ ზრდასრულობას *(early adulthood)*[2] შორის, ესაა ადამიანის ცხოვრებაში განვითარების ცალკეული ფაზა, ამ დროს ადამიანი ცვლის მოზარდებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებსა თუ სხვა კომპონენტებს და იწყებს თავისი ადგილის დამკვიდრებას (Levinson, 1986; Miller, 2017); ზრდასრულობის საწყისი ინდივიდუალური იდენტობის გაცნობიერებაა, რომლის შედეგადაც ინდივიდი წინაშე განვითარების სხვა ამოცანა – ინტიმური ურთიერთოების დამყარება – წამოიჭრება (Erikson, 1950). ზრდასრულობაში ტრანზიციისას ინდივიდი იძენს ახალ როლს, პასუხისმგებლობას, ზრდასრულის სტატუსს და გადაინაცვლებს ზრდასრულთა სამყაროში – ახალგაზრდა ზრდასრულობა (Levinson, 1986), ესაა ახალგაზრდული მისწრაფებების, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების – ოჯახის, სამსახურისა თუ ცხოვრების სტილის შესახებ – მიღების პერიოდი, რომლის დასასრულსაც ინდივიდი საკუთარ ადგილს იკავებს ზრდასრულთა სამყაროში.

ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლამ განსაკუთრებული მნიშვნელობა სწრაფად ცვალებად და გლობალიზებულ სამყაროში შეიძინა. სწრაფად ცვალებად სამყაროში, აქამდე არსებულ თეორიებში ტრადიციულ განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანები, როგორიცაა დამოუკიდებლობის მოპოვება მშობლებისგან, პირადი ცხოვრების დაგეგმვა, ურთიერთობების დამყარება, კარიერაზე ორიენტირება

[2] Early adulthood ასევე შეიძლება შეგვხვდეს, როგორც young adulthood. იმისათვის, რომ ცნებების ქართულად თარგმნისას ავირიდოთ გაურკვევლობა early adulthood-ი ითარგმნა, როგორც ახალგაზრდა ზრდასრულობა, რომელიც აღწერს იმ ინდივიდებს, რომლებმაც ზრდასრულობას ცოტა ხნის წინ მიაღწიეს – იმყოფებიან ზრდასრულობის ადრეულ წლებში.

ISSN2667-9825(online)

და ასე შემდეგ, იმდენად პრობლემური, სხვაგვარად აწყობილი გახდა, რომ ახალგაზრდები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან ზრდასრულთა სტატუსის მიღწევისას (Hendy & Kloep, 2010). მაგალითისთვის, თუ წარსულში ადამიანები იღებდნენ პროფესიას, რელიგიურ რწმენებს, შეხედულებებს, როლებსა და ასე შემდეგ, მათი მშობლებისაგან, ახლა იდენტობის ხასიათმა ცვლილება განიცადა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით: სწავლის პროცესის გახანგრძლივება, ქორწინებისა და შვილების ყოლის ასაკის მომატება, გენდერული როლების გათანასწორება (Cote & Levine, 2014; Cote, 2000; Arnett, 1998). ამგვარად, ზრდასრულობის ტრადიციული მარკერები, როგორიცაა ქორწინება (Schlegel & Barry, 1991), მშობლობა და ასე შემდეგ, მნიშვნელოვნად გადავადდა (Hill, Lalji, Rossum, Geest & Blokland, 2014). სწრაფად ცვალებად გარემოში გაჩნდა მრავალი არჩევანი, შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით, გართულდა იდენტობის ძიების პროცესი, საკუთარი ადგილისა თუ როლის განსაზღვრა – *„იდენტობის პრობლემა აქტუალურია გლობალიზებულ სამყაროში, სადაც სხვადასხვა კულტურული ჯგუფი დაკავშირებული და ურთიერთგადაჯაჭვულია“* (Hammack, 2008). „სელფი“ და იდენტობა გავლენას განიცდის და იცვლება გლობალიზაციის პროცესში (Hermans, 2015). ეს თანამედროვე გარემოს დამახასიათებელია და საკუთარ თავში გარკვევა და გარემოში ორიენტირება რთულ ამოცანას წარმოადგენს (გამსახურდია, 2016). მსგავს პირობებში წარმოსახულ როლებმა, რომლებსაც მამოდერნიზებელი, დასავლური გავლენები (განათლება, ტელევიზია) განაპირობებს, იდენტობასა და რეალობას (მოცემულ კულტურულ მდგომარეობას) შორის შეიძლება დისონანსიც წარმოქმნას (Miles, 2000). ეს განსვლა განსაკუთრებით ზრდასრულობაში ტრანზიციისას და იდენტობის ძიებისას გაცნობიერდება. შესაბამისად, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ თანამედროვე ეპოქაში ზრდასრულობაში გადასვლასთან დაკავშირებული აქამდე არსებული ტრადიციული ამოცანები მკვეთრად შეიცვალა, ზრდასულობის დადგომა „გადავადდა“ და განსხვავებული მარკერები/განზომილებები გამოიკვეთა, ხოლო იდენტობის ძიება ახალგაზრდებისთვის გამოწვევად იქცა.

სწორედ თანამედროვე სამყაროს გარდაქმნამ, დემოგრაფიულმა ცვლილებებმა, სოციალური სტრუქტურების ცვლილებამ და ასე შემდეგ, გაახანგრძლივა ზრდასრულობაში გადასვლა და სათავე დაუდო ახალი თეორიული ხედვების ჩამოყალიბებას ადამიანის განვითარების შესახებ. ამის გათვალისწინების საფუძველზე, ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჯეფრი არნეტმა შემოგვთავაზა ადამიანის განვითარების განცალკევებული პერიოდი – **გარდამავალი ზრდასრულობა** (*emerging adulthood*) [3] (Arnett, 2000, 2002). ეს კონცეპტი გულისხმობს იმას, რომ ზრდასრულობამდე უფრო დიდი გზაა გასავლელი, ვიდრე ადრე აღწერილ განვითარების თეორიებშია

[3] ჯეფრი არნეტის თეორიაში არსებული კონცეპტი — emerging adulthood ითარგმნა, როგორც გარდამავალი ზრდასრულობა.

ISSN2667-9825(online)

განხილული (მაგალითად, ერიკსონის, ლევინსონის თეორიები), ზრდასრულობაში ტრანზიცია უფრო გახანგრძლივდა და ეს კონცეპტი აღწერს იმ თავისებურებებსა და გამოწვევებს, რომლებიც ამ ცხოვრებისეული პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. გარდამავალი ზრდასრულობა ესაა ცხოვრების ახალი ფაზა, განვითარების პერიოდი, რომელიც მოიცავს გვიან თინეიჯერობის წლებსა და ადრეულ ზრდასრულობას – უმეტესად აერთიანებს 18-დან 29 წლამდე ასაკის ინდივიდებს, ახალგაზრდა ადამიანებისთვის ეს პერიოდი ღრმა ცვლილებებისა და მნიშვნელობებისაა (Arnett, 2002; 2015). ზრდასრულობაში ტრანზიცია იმ მოლოდინებითაა განპირობებული, რომ ინდივიდი მეტ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და ხდება თვითკმარი (Arnett, 2006). არნეტს (Arnett, 2006, 2015) გამოკვეთილი აქვს გარდამავალი ზრდასრულობისთვის დამახასიათებელი და ამ პერიოდის აღმწერი განზომილებები – ესაა იდენტობის ძიების, არასტაბილურობის, საკუთარ თავზე ფოკურისების, შუაში ყოფნის განცდისა (*feeling in between*) და მრავალი შესაძლებლობის ქონის ასაკი.

ცხოვრების ეს ტრანზიციული პერიოდი – გარდამავალი ზრდასრულობა მოცემულ გარემოსთან – კულტურულ კონტექსტთანაა გადაჯაჭვული. თავად ადრეული ზრდასრულობა არნეტის მიერ აშშ-ში ჩატარებული კვლევების (მაგალითად, Arnett, 1997) საფუძველზე შემუშავებული ადამიანის განვითარების კონკრეტული პერიოდის აღმწერი კონცეპტია, რომელიც გლობალიზაციის პირობებს უკავშირდება და ძირითადად ინდუსტრიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გარდამავალი ზრდასრულობის პერიოდის მახასიათებლები განვითარებად ქვეყნებში/არადასავლურ კულტურებშიც შეინიშნება (Arnett, 2002). გლობალიზაციის ტრანსფორმაციულმა ძალამ ინტერკულტურული კავშირები გააძლიერა, გამოიწვია სოციო-კულტურული ცვლილებები და გააჩინა ცხოვრების ტრაექტორიისთვის, სხვადასხვა მიმართულებისთვის (განათლების, დასაქმებისა და ა.შ. კუთხით) მეტი შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ გარდამავალი ზრდასრულობის განვითარების პერიოდი არადასავლურ კულტურებშიც გამოიცდება (Ozer, Meca & Schwartz, 2019). ადრეული ზრდასრულობა დამოკიდებულია კულტურასა და სოციალურ ინსტიტუციებზე, შესაბამისად, მას უნივერსალურ სტადიად ვერ განვიხილავთ (Hendy & Kloep, 2010); არაამერიკელი ახალგაზრდების შერჩევა გვიჩვენებს (მაგალითად, ნიდერლანდებში, ირლანდიაში, ჩინეთსა და ინდოეთში ჩატარებული კვლევები), რომ გარდამავალი ზრდასრულობა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულად გამოიცდება, ამ განსხვავებებს კი თავისი კულტურული ახსნა აქვს (Hill, et al., 2014; Seiter & Nelson, 2011; Hendry & Kloep, 2010; Nelson, Badgar & Bo Wu, 2004). გლობალიზაციამ და მისმა თანმდევმა ინტერკულტურულმა კავშირებმა და სოციო-კულტურულმა ცვლილებებმა გარდამავალი ზრდასრულობისთვის დამახასიათებელი ამოცანა – იდენტობის ძიება – მეტად გაართულა არადასავლურ კულტურებში (Arnett,

ISSN2667-9825(online)

2002; Ozark et al., 2019). არადასავლურ კულტურებში ახალგაზრდებში იზრდება იდენტობის დაბნეულობა, რომელიც ლოკალური კულტურის გლობალურ კულტურასთან კომბინირებით გამომდინარეობს (Arnett, 2000). ახალგაზრდებმა არადასავლური კულტურებიდან უნდა გააერთიანონ მრავალფეროვანი ადგილობრივი და გლობალური კულტურული ნაკადები (Ozark et al., 2019). სწორედ ამ მიზეზთა გამო, გლობალიზაციის პირობებში იდენტობის ძიების/ფორმირების პროცესი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, ეს კონცეპტი საჭიროებს იმის გადამოწმებას, თუ როგორ გამოიცდება განვითარების ეს პერიოდი სხვა კულტურაში – არსებობს თუ – არა გარდამავალი ზრდასრულობის განვითარების პერიოდი, რა თავისებურებები გამოიკვეთება, როგორ მიმდინარეობს ზრდასრულობაში ტრანზიცია სხვა კულტურულ კონტექსტში.

თავად ქართული კულტურა იმ მხრივაა საინტერესო, რომ, ერთი მხრივ, ზემოთაღწერილ ცვალებად გარემოსა თუ კულტურის აღწერას ცხადად ერგება. 1991-ში დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ქვეყანა ახალი გამოწვევებისა თუ ცვლილებების წინაშე დადგა. ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართულმა კულტურამ მრავალი ცვლილება განიცადა სოციო-კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით; თავი იჩინა გლობალიზაციის გავლენებმა, რაც კონტრასტს ქმნიდა უკვე არსებულ ღირებულებებთან. ეს პოზიცია, ცხადია, გავლენას ახდენს არჩევნის გაკეთებაზე, იდენტობის ფორმირებაზე. შეიქმნა „გაორებული“ გარემო, სადაც, ერთი მხრივ, ქართველობასთან დაკავშირებული ღირებულებები – კონსერვატიზმი, რელიგიურობა, ქალის სექსუალობის შეზღუდვა წინააღმდეგობრივი იყო დასავლეთთან დაკავშირებულ ღირებულებებთან – ინდივიდუალიზმთან, სეკულარიზმთან და სექსუალურ თავისუფლებასთან (Gamsakhurdia, 2019). შესაბამისად, დღევანდელ ახალგაზრდებს ამ „გაორებულ ღირებულებებში“ უწევთ ცხოვრება – ტრადიციულ-ადგილობრივსა და გლობალურ-თანამედროვეს შორის. დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდების წინაშე მრავალფეროვანი „მასალა“ იშლება, რომელსაც, ერთი მხრივ, ადგილობრივი საზოგადოება, ხოლო, მეორე მხრივ, გლობალური სამყარო სთავაზობს (Tsuladze, 2011). სწორედ ამიტომ საინტერესოა, როგორ გადიან ქართველი ახალგაზრდები ცხოვრების ტრანზიციული პერიოდის ამოცანებს – იდენტობის განცდას, ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ასე შემდეგ მოცემულ კონტექსტში. ასევე, გასათვალისწინებელია ეკონომიკური პირობებები, რაც შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს ცხოვრებისეული შესაძლებლობების კუთხით – არჩევნის გაკეთებისას, დამოუკიდებლობის მიღწევისთვის და ა.შ. 2014 წლის ახალგაზრდების ეროვნული კვლევის მიხედვით[4] (UNICEF, 2014), საქართველოში ახალგაზრდების მაღალი უმუშევრობის დონე ფიქსირდება. ახალგაზრდები განათლების დასრულების შემდეგ

[4] გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ 15-დან 29 წლამდე ახალგაზრდები.

ISSN2667-9825(online)

აქტიურად ეძებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაოს, თუმცა სამუშაო ადგილის სიმცირისა და ნაკლები გამოცდილების გამო რთულდება მათი შრომით ბაზარზე ჩართვა. სწორედ ამგვარი ეკონომიკური პირობებიც, შესაძლოა, მნიშვნელოვან გასხვავებებს ქმნიდეს სოციო-კულტურული თვალსაზრისით, რაც აისახება ახალგაზრდებზე და ზრდასრულობაში გადასვლის „გზაზე“ სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ახალგაზრდების გამოცდილებები შემოისაზღვრება დამოუკიდებლობის დონით, რაც გულისხმობს როგორც ემოციურ, ასევე ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ოჯახისგან (Furold, 2013). გარდა ამისა, საინტერესოა ისიც, როგორ მიმდინარეობს ადრეული ზრდასრულობისათვის დამახასიათებელი/აღმწერი განზომილება – საკუთარ თავზე ფოკუსირება ქართულ კულტურაში. არნეტის თანახმად, გარდამავალი ზრდასრულობის პერიოდში მყოფი ინდივიდები საკუთარ თავს განსაზღვრავენ როგორც საკუთარ თავზე ფოკუსირებულს, რომელთაც ნაკლები ვალდებულება აქვთ სხვების მიმართ (Arnett, 2015; ციტირებულია Miller, 2017), თუმცა კულტურების მიხედვით ეს განზომილება მნიშვნელოვნად განსხვავდება (მაგალთად, Nelson, Badgar & Bo Wu, 2004). მარკუსისა და კიტაიამას (Markus & Kitayama, 1991) მიხედვით, ამგვარი ხედვა – „სელფის“ დამოუკიდებლად, ავტონომიურად, განცალკევებულად განხილვა უნივერსალური არაა, არამედ ზოგიერთ კულტურებში „სელფი“ გარემომცველ რეალობასთანაა გადაჯაჭვული, ურთიერთდამოკიდებულია და „სხვას“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის განვითარება კონკრეტული კულტურის ფარგლებში მიმდინარეობს, ქართულ კულტურაზეც ვერ განვაზოგადებთ არნეტის აღნიშნულ განზომილებას – ქართულ კულტურაში უმნიშვნელოვანეს ღირებულებას ოჯახი წარმოადგენს და მიმდინარე სიციო-კულტურული ტრანსფორმაციების მიუხედავად, ურთიერთდამოკიდებულება და შიდაჯგუფური ურთიერთობები (ოჯახი, ნათესაობა, მეგობრობა და ასე შემდეგ) კვლავ ძირითად/ბაზისურ ელემენტებად რჩება (Surmanidze & Tsuladze, 2010). სწორედ ამ და სხვა ზემოჩამოთვლილი მახასიათებლების გამო იქმნება თანამედროვე საქართველოში გაორებული სურვილები – ურთიერთდამოკიდებულობა/დამოუკიდებლობა და ტრადიციული და მოდერნული თანაარსებობს ქართველ ახალგაზრდებში (Tsuladze, 2012).

ამგვარად, საინტერესოა, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს ქართულ კულტურაში ზრდასრულობაში ტრანზიციასთან და გარდამავალ ზრდასრულობასთან დაკავშირებული მახასიათებელები თუ განზომილებები, როგორ მიმდინარეობს ცხოვრების ტრანზიციული პერიოდი, რომელიც ძიება-გამოკვლევას ეთმობა, რა გამოწვევებს აწყდებიან ქართველი ახალგაზრდები მიმდინარე გარდამავალ სოციო-კულტურულ კონტექსტში, რა გამოცდილებებითა და თავისებურებებით ხასიათდება ცხოვრების ეს პეიროდი. ზრდასრულობაში ტრანზიციის აღსაწერად განხილულია არნეტის გარდამავალი ზრდასრულობის თეორია. მიუხედავად იმისა, რომ

ISSN2667-9825(online)

გარდამავალი ზრდასრულობის ცალკეულ პერიოდად გამოყოფა გლობალიზაციის პროცესს უკავშირდება და სხვადასხვა კულტურაში გვხვდება არნეტის მიერ შემუშავებული გარდამავალი ზრდასრულობის პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიშნები/განზომილებები, ვერ მივიჩნევთ მას უნივერსალურ სტადიად და, ვფიქრობთ, რომ მისი ცალკეულ კულტურულ კონტექსტში განხვილვა თავად ამ კონცეპტს განავრცობს/შესძენს უფრო მეტს, გამოიკვლევს, გამოიცდება თუ – არა გარდამავალი ზრდასრულობა სხვა კულტურებში (ჩვენს შემთხვევაში ქართულ კულტურაში); რა თავისებურებებით შეიძლება ხასიათდებოდეს ეს ცხოვრებისეული პერიოდი კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში და რა ახალი განზომილებები შეიძლება გამოიკვეთოს ზრდასრულობაში ტრანზიციის აღსაწერად.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლა ფსიქოლოგიურ/პერსონალურ, სოციალურ და კულტურულ განზომილებებს მოიცავს. ადამიანის განვითარების პროცესში ეს განზომილებები თუ ფაქტორები ურთიერთგადაჯაჭვული და ურთიერთგამომდინარეა, ინდივიდი გარემოსთან ინტერაქციის პროცესში ვითარდება, შესაბამისად, მოცემული კვლევა ინტერდისციპლინურ ჭრილში წარიმართა, სადაც თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ამ განზომილებებს და გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა დისციპლინაში მოპოვებული ცოდნა პიროვნების განვითარების, ასევე, პიროვნებისა და სოციო-კულტურული გარემოს ურთიერთკავშირის შესახებ. ვინაიდან ადამიანის განვითარების აღწერა სხვადასხვა მიმართულებითა და პერსპექტივიდანაა შესაძლებელი, მნიშვნელოვანია, იგი ინტერდისციპლინურ ჭრილში ვიკვლიოთ. სხვადასხვა დისციპლინისა და ინდივიდი-გარემოს ინტერაქციის გათვალისწინება მოგვცემს უფრო სრულ ცოდნასა თუ სრულ წარმოდგენას ზრდასრულობაში ტრანზიციის შესახებ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლა ქართულ კულტურაში, კერძოდ, იმის კვლევა, თუ რა ამოცანებთანაა დაკავშირებული ზრდასრულობაში გადასვლა ქართველი ახალგაზრდებისთვის, როგორი გამოცდილებით, რა თავისებურებებითა თუ გამოწვევებით ხასიათდება ადამიანის განვითარების ეს პერიოდი.

მიზნის მისაღწევად შემუშავდა შემდეგი **კვლევის ამოცანები:**

1. იმ მიმდინარე სოციო-კულტურული კონტექსტის/გარემოების გამოკვლევა, რომელშიც ქართველ ახალგაზრდებს უწევთ ცხოვრება;

2.ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის მახასიათებლების/განზომილებების გამოკვეთა.

ISSN2667-9825(online)

3. ზრდასრულობის ნიშნების გამოკვეთა იმის შესასწავლად, როდის და როგორ გადადიან ინდივიდები ზრდასრულობაში – რა არის ახალგაზრდებისთვის ზრდასრულობაში ტრანზიციის ამოცანები.

4. გარდამავალი ზრდასრულობის (emerging adulthood) განზომილებების (იდენტობის ძიება, არასტაბილურობა, შესაძლებლობების აღმოჩენა, სელფ-ფოკუსირება, შუაში ყოფნის განცდა) კვლევა ქართულ კულტურაში – იმის გამოვლენა, ხასიათდება თუ – არა ამ განზომილებებით ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდი ქართულ კულტურაში.

მეთოდოლოგია

აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა მონაცემთა მოგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდები. კვლევა ეყრდნობა ემიკურ მიდგომას — საკითხი შესწავლილია ცაკლეული კულტურის კონტექსტში და რეალობა მოცემული კულტურის წარმომადგენელი ინდივიდების პერსპექტივიდანაა დანახული, კულტურა შეისწავლება „შიგნიდან“ (სურმანიძე, 2010). ვინაიდან გათვალისწინებულია კულტურული კონტექსტი, ემიკური მიდგომა საშუალებას გვაძლევს, სრულად დავინახოთ კულტურის სპეციფიკა.

შერჩევა. ვინაიდან მოცემული კვლევა ორიენტირებულია ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდისა და ადრეული ზრდასრულობის მახასიათებლების (emerging adulthood) კულტურული გამოვლინებების შესწავლაზე, შესაბამისად, საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდა ადრეული ზრდასრულობის ასაკში (18-დან 29 წლამდე) მყოფი საქართველოში მაცხოვრებელი ინდივიდები. გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა, რომელშიც გაერთიანდა ადრეული ზრდასრულობის ასაკში მყოფი ინდივიდები. შერჩევაში გათვალისწინებულ იქნა რესპოდენტების ასაკობრივი დიაპაზონი და, შესაბამისად, ასაკი, ასევე, გენდერი, თანაბრადაა გადანაწილებული.

გამოკითხულ იქნა 11 რესპონდენტი. მათგან – 6 ქალი, ხოლო 5 მამაკაცია. რესპონდენტებიდან შვიდს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ორი მათგანი სტუდენტია, ორს კი არასრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. რესპონდენტებიდან არცერთი იმყოფება ოფიციალურ ქორწინებაში, თუმცა ოთხ მათგანს ჰყავს პარტნიორი. დასაქმებულია 7 (აქვს საკუთარი შემოსავალი). მათი უმრავლესობა (8 რესპონდენტი) ოჯახთან (მშობლებთან) ერთად ცხოვრობს. ეს დემოგრაფიული მახასიათებლები წარმოდგენას გვიქმნის ზრდასრულობაში ტრანზიციის გამოცდილებაზე, ვინაიდან ზრდასრულობაში ტრანზიცია და გარდამავალი ზრდასრულობის განზომილებები მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორებზე.

ISSN2667-9825(online)

მონაცემთა მოგროვების მეთოდი. თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მონაცემები შეგროვდა სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით, რათა მიგვეღო სიღრმისეული და დეტალური ინფორმაცია, გამოგვეკვეთა მოცემული საკითხის მნიშვნელოვანი ასპექტები. სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით აღვწერეთ ახალგაზრდების პირადი გამოცდილებები, რამაც საშუალება მოგვცა, დაგვენახა ცხოვრების ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდი მიმდინარე სოციო-კულტურულ პროცესებთან მიმართებით, დაგვენახა ინდივიდისა და გარემოს ინტერაქცია, რომლის საფუძველზეც საშუალება მოგვეცა, აღგვეწერა ზრდასრულობაში ტრანზიცია, განვითარების პერიოდის ზოგადი მახასიათებლებები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები კულტურულ კონტექსტში.

ინტერვიუ არასტურქტურირებულია – შეკითხვები წინასწარ არ იყო განსაზღვრული, ინტერვიუ მოიცავდა ღია შეკითხვებს. ინტერვიუს დასაწყისში რესპონდენტებმა პასუხი გასცეს დემოგრაფიულ შეკითხვებს, რომლებიც, შესაძლოა, რელევანტურ ინფორმაციას გვაწვდიდეს მონაცემთა საინტერპრეტაციოდ. დემოგრაფიული შეკითხვები შეიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, განათლების საფეხურის, დასაქმებისა და ურთიერთობის სტატუსის შესახებ, ასევე, საცხოვრებელი პირობების (კერძოდ, მარტო ცხოვრობს თუ იზიარებს საცხოვრებელ ადგილს) და ფინანსური მდგომარეობის (ფინანსური დამოუკიდებლობის) შესახებ. უშუალოდ ზრდასრულობაში ტრანზიციის შესახებ შეკითხვები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული თეორიების მიხედვით დაკავშირებულია ზრდასრულობაში ტრანზიციის განსაზღვრებასთან. ეს საკითხები შეეხება იდენტობის ძიებას, სამომავლო გეგმებისა (განათლების, დასაქმების, ურთიერთობების სფეროში) და ცხოვრების შესაძლებლობების განხილვას, რომელსაც გარემო სთავაზობს ახალგაზრდებს, ახალგაზრდების პირად გამოცდილებებს, შეხედულებებსა და სურვილებს, ზრდასრულობის განსაზღვრებას.

კვლევის პროცედურა. მონაცემთა მოგროვებისათვის წარიმართა სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც არაფორმალურად და ყოველდღიურ საუბართან მიახლოებულად მიმდინაროებდა. ინტერვიუ წარიმართა Zoom პლატფორმის გამოყენებით და საშუალოდ გრძელდებოდა 30-60 წუთი. ინტერვიუირების პროცესში გაკეთდა ინტერვიუს აუდიოჩანაწერი, რომლის მიხედვითაც შემდგომ დაიწერა ტრანსკრიპტები.

მონაცემთა ანალიზის მეთოდი. სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების შემდეგ გაკეთდა ტრანსკრიპტები. ტრანსკრიპტების შინაარსი დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით, რათა გამოგვეკვეთა საერთო მნიშვნელოვანი თემები მონაცემთა შიგნით, რომლებიც მოცემული კვლევის საკითხთანაა დაკავშირებული. თემატური

ISSN2667-9825(online)

ანალიზი არის თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდი. თემატური ანალიზის მიზანია გამოკვეთოს თემები, იგივე პატერნები მონაცემებში, რომლებიც კვლევისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა და ეს თემები გამოიყენოს კვლევაზე საპასუხოდ ან საკითხის წამოსაჭრელად (Maguire & Delahunt, 2017). იგი წარმოადგენს მოქნილ მიდგომას კვლევის მონაცემებისადმი და საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ, გავაანალიზოთ და გამოვყოთ პატერნები (თემები) მონაცემების შიგნით (Braun & Clarke, 2006). თემატური ანალიზის სწორედ ამ უპირატესობების საშუალებით შევძელით გამოგვეყო ის მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც კვლევის მიზანთან და ამოცანებთანაა დაკავშირებული.

თემატური ანალიზი წარიმართა ბრაუნისა და კლარკის (Braun & Clarke, 2006) ექვსფაზიანი მოდელის მიხედვით: პირველ ფაზაზე მოხდა ტრანსკრიპტების რამდენჯერმე გადაკითხვა, რათა დავახლოვებოდით მონაცემებს და გაგვემახვილებინა ყურადღება მონაცემის შიგნით არსებულ პატერნებზე. მეორე ფაზაზე გამოიყო პირველადი კოდები, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც მესამე ფაზაზე გამოიყო ის თემები, რომლებიც შეესაბამებოდა ინტერვიუს შედეგად მოპოვებულ მონაცემებს. მეოთხე ეტაპზე გადაიხედა არსებული თემები, რომლებიც მეხუთე ფაზაზე განისაზღვრა და დასათაურდა. დასასრულ, მომზადდა ანგარიში შედეგების შესახებ.

შედეგების განხილვა

გაანალიზდა 11 რესპონდენტისგან მიღებული მონაცემები. ჩვენი მიზანი იყო, გამოგვეკვეთა ის მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც კვლევის მიზანთან და ამოცანებთან იყო დაკავშირებული. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა საერთო/მსგავსი მნიშვნელოვანი თემები, გამოიკვეთა პატერნები მონაცემთა შიგნით და ამის საფუძველზე გამოიყო სამი მსხვილი თემა: **ზრდასრულობის ნიშნები**, **ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის მახასიათებლები** და **გლობალიზაცია და სწრაფად ცვალებადი გარემო**, თითოეული მათგანისთვის გამოვყავით ქვე-თემები. ზრდასრულობის მარკერების ქვე-თემებად გამოიყო: პასუხისმგებლობის აღება, დამოუკიდებლობა და იცოდე, რა გინდა – „იყო ჩამოყალიბებული“. ზრდასრულობის ტრანზიციის პერიოდის მახასიათებლებში გამოვლინდა შემდეგი ქვე-თემები: გარდამავალი პერიოდი (შუაში ყოფნის განცდა), იდენტობის ძიება, ცვლილებებისა და შესაძლებლობების პერიოდი. გლობალიზაციასა და სწრაფად ცვალებად გარემოში გამოიკვეთა შემდეგი ქვე-თემები: თაობათაშორისი განსხვავებები და გლობალიზაცია და საკუთარი თავის გამორკვევა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ეს ქვე-თემები შინაარსობრივად გადამკვეთი და ურთიერთგადამფარავი იყოს, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში რესპონდენტები მკაფიოდ გამოყოფდნენ ცალკეულ საკითხს და

ISSN2667-9825(online)

იმისათვის, რომ მეტი სიცხადე შესძენოდა კვლევის შედეგებს, საჭირო გახდა მათი ცალ-ცალკე გამოყოფა.

ზრდასრულობის მარკერები

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა, რომლის მიხედვითაც მათ უნდა მოეხდინათ ზრდასრულობის განსაზღვრება, იმისათვის, რომ დაგვენახა, თუ რას მიიჩნევენ ისინი საჭიროდ ზრდასრულობის მისაღწევად, რა არის ზრდასრულობაში გადასვლის ამოცანები. რესპონდენტთა პასუხების გაანალიზების საფუძველზე, გამოვლინდა საერთო თემები მონაცემთა შიგნით. რესპონდენტთა უმრავლესობის მიხედვით ზრდასრულობა განისაზღვრება შემდეგი ნიშნებით:

პასუხისმგებლობის აღება. რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ზრდასრულობა განისაზღვრება პასუხისმგებლობის აღებით. რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, პასუხისმგებლობის გრძნობა შეიძლება გულისხმობდეს, როგორც საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღებას, ასევე, სხვაზე ზრუნვასა და სხვაზე პასუხისმგებლობის აღებას.

რესპონდენტებმა „ზრდასრულობა“ ასე განსაზღვრეს:

„...პასუხისმგებლობის აღების არ უნდა გეშინოდეს და შენ უნდა იღებდე.“

„პასუხისმგებლობის გრძნობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი.“

„ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა ახასიათებდეს ზრდასრულ ადამიანს ესაა პასუხისმგებლობის თავიდან ბოლომდე აღება.“

„პირველი, რაც მახსენდება ზრდასრულობაზე ისაა, რომ პასუხისმგებლიანი იყო.“

„იმათზეც გრძნობ პასუხისმგებლობას, ვინმესთან ერთად რო ცხოვრობ სხვისი გათვალისწინებაც გიწევს... რაც ასაკი გემატება ნელ-ნელა შენი მისახედი გახდება ყველა, ოჯახის წევრებზე ვამბობ.“

„...უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ. არა მანდამაინც[5] ეკისრებათ, მაგრამ თვითონაც შეგიძლია საკუთარი ნებით აიღო პასუხისმგებლობა სხვა ადამიანებზე, მათ კარგად ყოფნაზე.“

[5] რესპონდენტების საუბარი გადმოგვაქვს უცვლელად ენობრივი კორექტირების გარეშე.

ISSN2667-9825(online)

დამოუკიდებლობა. რესპონდენტების უმრავლესობამ, ასევე, აღნიშნა, რომ ზრდასრულობა დამოუკიდებლობას გულისხმობს. დამოუკიდებლობაში ისინი გულისხმობენ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, ფინანსურ დამოუკიდებლობას, მარტო ცხოვრების შესაძლებლობას, რაც უფრო მეტად ათავისუფლებს ახალგაზრდებს მშობელთა გავლენებისგან:

„მეტწილად ზრდასრულობა დამოუკიდებლობაზე მაქვს მიბმული...“

„ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ფინანსური დამოუკიდებლობაა, ვინაიდან ნაკლები გავლენაა მშობლების უკვე შენს ცხოვრებაზე.“

„დამოუკიდებელი უნდა იყო ფინანსურად, პიროვნულად, გადაწყვეტილებას შენ უნდა იღებდე...“

„როცა შეგიძლია პრობლემებთან დამოუკიდებლად გამკლავება, დამოუკიდებლად ცხოვრება, ის, რომ სხვაზე არ იყო დამოკიდებული და ზრდასრულად რომ უყურებ ცხოვრებისეულ პრობლემებს.“

იცოდე რა გინდა – „იყო ჩამოყალიბებული“. ზრდასრულობაზე საუბრისას რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ზრდასრულობის მისაღწევად საჭიროა, იცოდე, რა გინდა – „იყო ჩამოყალიბებული“:

„ჩამოყალიბებული უნდა იყო ცხოვრებაში რა გინდა და რისთვის მუშაობ, კიდევ, ზოგადად წარმოდგენა უნდა გქონდეს ცხოვრებისგან რა გინდა...“

„ჩამოყალიბებული ტიპები, ვინც იცის რა უნდა, რაღაცებს გეგმავს ხოლმე...“

„ჩამოყალიბებული როცა ხარ არჩევანს აკეთებ, გააზრებულ არჩევანს, ყოველთვის წონი სიტუაციას...“

„უფრო ჩამოყალიბებული ხარ რაღაცებში, თუნდაც ის, რომ იცი, რა გინდა ცხოვრებაში და უკეთესად ფიქრობ, ალბათ, უფრო დაკვირვებული ხარ და დინჯი... ჩამოყალიბებული ნიშნავს, როცა იცის ადამიანმა, რა უნდა, მიზანი აქვს ჩამოყალიბებული და იცის, გეგმა კონკრეტული როგორ უნდა მივიდეს მიზნამდე. ანუ ის, რომ ხშირად არ იცვლის ამ მიზნებს და საკუთარი აზრი რომ აქვს ყველაფერში, მიზნებს რომ შევეშვათ.“

ISSN2667-9825(online)

ამრიგად, რესპონდენტების პირადი შეფასებების საფუძველზე გამოვლინდა ზრდასრულობის ის ნიშნები, რომლებიც რესპონდენტთა უმრავლესობის ნარატივში იკვეთება. ზრდასრულობის ნიშნების გამოვლენა წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა მიიჩნევა ზრდასრულობად ქართველი ახალგაზრდებისთვის, რაც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, თუ რა ამოცანებს სახავენ ისინი ზრდასრულობაში გადასვლისთვის და დავინახოთ ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის მახასიათებლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრდასრულობის ნიშნების გამოვლენა დაფუძნებულია სუბიექტურ განსაზღვრებაზე და ამ შეფასებებს არ აქვს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე. ზრდასრულობის კრიტერიუმები თუ ნიშნები განსხვავებულია კულტურების მიხედვით.

ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის მახასიათებლები

რესპონდენტებისგან მიღებული მონაცემების შედეგად გამოიყო ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის ძირითადი მახასიათებლები. ქართველი ახალგაზრდები საუბრობდნენ თავიანთი გამოცდილების, შეხედულებების, სამომავლო გეგმებისა და სურვილების შესახებ. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ის ძირითადი პატერნები, რომლებიც ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის აღსაწერად შეგვიძლია გამოვიყენოთ.

გარდამავალი პერიოდი – შუაში ყოფნის განცდა. ზრდასრულობის განსაზღვრების შემდეგ რესპონდენტები საუბრობდნენ იმაზე, მიიჩნევენ თუ – არა თავს ზრდასრულად. რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ ბოლომდე არ მიუღწევიათ ზრდასრულობისთვის, „სადღაც შუაში არიან“, გარკვეული საკითხების გამო თავს ზრდასრულად მიიჩნევენ, თუმცა ცალკეული საკითხების გათვალისწინებით თავს ბოლომდე ზრდასრულად არ მიიჩნევენ.

რესპოდენტებმა კითხვას გრძნობს თუ არა ზრდასრულად შემდეგნაირად უპასუხეს:

„არ მგონია, რომ ზრდასრულობას მივაღწიე, ანუ ეგ განცდა მაქვს, რომ მოზარდობის რაღაცები შემორჩენილი მაქვს და რაც მოზარდობაში ვერ დავიკმაყოფილე მაგის რეალიზების მოთხოვნილება მეორედ გამიჩნდა.“

„რაღაც ასპექტებში – კი, რაღაც ასპექტებში – არა.“

„კონტინიუმზე რომ წარმოვიდგინოთ არაზრდასრულობა და ზრდასრულობა, უფრო ზრდასრულობისკენ ვარ, მაგრამ მკაფიოდ კი-დ არ მივიჩნევ ჩემს თავს.“

ISSN2667-9825(online)

„ვგრძნობ, რომ დაახლოებით, ზღვარზე ვარ... ზუსტად ეს გზაგასაყრის პერიოდი მაქვს...“

რესპონდენტებმა, ასევე, ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რა საკითხების გათვალისწინებით არ მიიჩნევენ საკუთარ თავს ბოლომდე ზრდასრულად. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელოვანია, შეგეძლოს დამოუკიდებლად, მარტო ცხოვრება, მათი უმრავლესობა კი კვლავ მშობლებთან ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ სურთ მარტო ცხოვრება, სხვადასხვა გარემოების გამო ამას ვერ ახერხებენ (მაგალითად, რესპონდენტთა ნაწილმა დაასახელა ფინანსური მიზეზი):

„ფორმალურად ვიცი, ვარ ზრდასრული. ემოციურად შეიძლება ვიყო ზრდასრული, მაგრამ მდგომარეობით არ ვარ ზრდასრული, პრაქტიკაში მიჭირს ხოლმე.“

„მე არ ვარ ბოლომდე ზრდასრული, ვინაიდან ასე თუ ისე მშობლებისგან მაინც მაქვს ჩარევები... ბოლომდე მაინც არ ვარ დამოუკიდებელი, თუნდაც იმიტომ, რომ მშობლებთან ვცხოვრობ და ბევრ რაღაცაში მიწევს, რომ მათი აზრი გავითვალისწინო.“

ცვლილებებისა და შესაძლებლობების პერიოდი. რესპონდენტები განიხილავდნენ მრავალმხრივ ცვლილებებს თავიანთ ცხოვრებაში და შესაძლებლობებს სხვადასხვა მიმართულებით. რესპონდენტები საუბრობდნენ საკუთარ სურვილებზე, გეგმებსა და მიზნებზე. რესპონდენტთა უმრავლესობა გეგმავს ცვლილებებს სხვადასხვა კუთხით – განათლების, დასაქმების. რესპონდენტების უმრავლესობისთვის ეს წარმოადგენს პერიოდს, როდესაც მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, გააკეთონ მნიშვნელოვანი არჩევანი მრავალ არჩევანს შორის და მიიღონ მრავალმხრივი გამოცდილება:

„ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში ახლა ვიტყოდი, რომ მაქსიმალურად გამოცდილების დაგროვებაა ყველაფერში.“

„კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, იმიტომ რომ ძაან ძაან ბევრ შესაძლებლობებს ხედავ...“

„ახალგაზრდა რომ ხარ რაღაცები უფრო გაინტერესებს, გინდა რომ ბევრი რაღაც სცადო და იმასაც ნიშნავს, რომ ჯერ ალბათ ბოლომდე არ ხარ ჩამოყალიბებული და ფიქრობ მომავალზე და მთავარი ისაა, რომ ჯერ კიდევ გაქვს დრო რომ შეცვალო შენი ცხოვრება, თუნდაც რადიკალურად.“

„ძირითადად, ამ სოციალური ურთიერთობებისა და ათასი რაღაცის მოსინჯვისა და მაგ ყველაფრის პერიოდი.“

ISSN2667-9825(online)

იდენტობის ძიება. რესპონდენტები საუბრობდნენ პერსონალურ იდენტობასთან დაკავშრებულ საკითხებზე, რომელიც მოიცავს საკუთარი თავის განსაზღვრებას, იდეოლოგიურ მსოფლმხედველობას, ღირებულებებს, წარმოდგენას იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი და რა სურთ. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ არ აქვს საკუთარი თავის მკაფიო განსაზღვრება, ძიების პროცესშია, ჯერ არ იცის, რა უნდა:

„რაღაც ახალი ჩარჩოების ძებნაში ვარ.“

„დაბნეული ვარ, რა უნდა ვაკეთო. ის ვერ გავარკვიე, რა გამომდის ყველაზე კარგად. დაბნეული ვარ, რა მინდა...“

„ერთი რაღაც რომ არ ვარ, ეგ ვიცი, არც ორი და სამი. ეგრე რო ვთქვა, kinda complicated... იდეოლოგიურად ჩამოყალიბებული ვარ, გემოვნებაც ჩამოყალიბებული მაქვს. უფრო მაინტერესებს კარგი ადამიანი ვარ თუ – არა, მაგაზე ვფიქრობ ხოლმე, როგორი ადამიანი ვარ, as a person.“

„დარწმუნებული არ ვარ. ნუ... რავი, ერთადერთი, ახლა რაც ცოტა დალაგებულად შემიძლია გითხრა, პროფესია და განათლება არ განსაზღვრავს, ვინ ვარ მე. რაღაც თუნდაც ურთიერთობებში ვინ ვარ, თუნდაც... რთული ასახსენელია... რაღაც ასპექტებში არ ვიცი, ვინ ვარ.“

„ზოგ რაღაცებში ისევ ძიების პროცესში ვარ, მაგრამ მთავარი ღირებულება რაცაა, ის, რომ კარგი ადამიანი ვიყო...“

ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის აღსაწერად გამოყენებული მახასიათებლები მსგავსია არნეტის ადრეული ზრდასრულობის (emerging adulthood) თეორიაში (Arnett, 2000) წარმოდგენილი ადრეული ზრდასრულობის პერიოდის აღმწერი განზომილებებისა. გლობალიზაციის შედეგად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტრანზიციამ ზრდასრულთა როლებისკენ ცვლილება განიცადა – კერძოდ, ახალგაზრდა ადამიანებისთვის გახანგრძლივდა ზრდასრულობაში გადასვლის პერიოდი, რამაც ადრეული ზრდასრულობის თეორიას დაუდო საფუძველი, რაც გულისხმობს, იმას, რომ ადრეული ზრდასრულობის განვითარების პერიოდის მახასიათებლები სხვადასხვა კულტურაში გამოიცდება. არნეტის (Arnett, 2006) თანახმად, ადრეული ზრდასრულობა ხასიათდება შემდეგი განზომილებებით: არასტაბილურობა (მრავალი ცვლილება სხვადასხვა მიმართულებით), ღია, მრავალი შესაძლებლობების ქონა, იდენტობის ძიება, შუაში

ISSN2667-9825(online)

ყოფნის განცდა და საკუთარ თავზე ფოკუსირება. ქართველი ახალგაზრდებისგან მიღებული მონაცემების მიხედვით, ზრდასრულობაში ტრანზიციის მახასიათებლები მსგავსია არნეტის მიერ თავის თეორიაში შემოთავაზებული მახასიათებლებისა – კერძოდ, რესპონდენტების უმრავლესობა საკუთარ თავს ბოლომდე ზრდასრულად არ მიიჩნევს, აქვს „შუაში ყოფნის განცდა“, საკუთარ ცხოვრებაში განიხილავენ მრავალ ცვლილებას და შესაძლებლობას სხვადასხვა მიმართულებით და იდენტობის ძიების პროცესში არიან. ქართველი ახალგაზრდების მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზრდასრულობაში ტრანზიცია ხანგრძლივი პროცესია ახალგაზრდებისთვის. თუმცა ეს არ გულისხმობს, იმას, რომ ზრდასრულობაში ტრანზიციას კულტურულად სპეციფიკური მახასიათებლები არ აქვს. მაგალითად, რესპონდენტების პასუხების შედეგად არ იკვეთება, არნეტის მიერ ადრეული ზრდასრულობის აღმწერი განზომილება – საკუთარ თავზე ფოკუსირება, არამედ რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სხვაზე (ძირითადად, გულისხმობენ ოჯახის წევრებს) პასუხისმგებლობის აღება და სხვაზე ზრუნვა. შესაბამისად, არნეტის თეორიას ვერ მივიჩნევთ უნივერსალურად და ვერ განვაზოგადებთ, პირიქით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრეული ზრდასრულობის პერიოდი კულტურულადაა კონსტრუირებული და ცალკეულ კულტურაში შეიძლება შეგვხვდეს ადრეული ზრდასრულობის პერიოდისა და ზრდასრულობაში ტრანზიციის კულტურულად სპეციფიკური მახასიათებლები (მაგ., Hill, et al., 2014; Seiter & Nelson, 2011; Hendru & Kloep, 2010; Nelson, Badgar & Bo Wu, 2004).

გლობალიზაცია და სწრაფად ცვალებადი გარემო

რესპონდენტების ნარატივებში იკვეთება სოციო-კულტურული გარემოს ზოგადი მახასიათებლები – სწრაფად ცვალებადობა, გლობალიზაცია, ადგილობრივი და გლობალური ღირებულებების, შეხედულებების, დისკურსებისა და ინფორმაციული ნაკადების ინტერაქცია და მათ შორის განსვლა:

„ისე სწრაფად იცვლება სამყარო, რომ სტატიკურად ერთი რაღაც რომ იცი, შეიძლება მეორე დღეს რელევანტური არ იყოს.“

„შენ შეიძლება სტაბილური იყო, მარა გარემო იყოს არასტაბილური და ცოტა რთულია ეგეთი გეგმების დაწყობა“.

მონაცემების მიხედვით, ერთი მხრივ, სოციო-კულტურული გარემოს აღნიშნული მახასიათებლები განაპირობებს თაობათა შორის განსხვავებებს, ახალგაზრდებსა (რომლებსაც მოიხსენიებენ როგორც „ჩვენი თაობა“) და უფროს თაობას

ISSN2667-9825(online)

(„მშობლების თაობა“) შორის, მეორე მხრივ, გამოწვევას ქმნის საკუთარი თავის გამორკვევის პროცესი.

თაობათაშორისი განსხვავებები. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათსა და მშობლების (უფროს) თაობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია შეხედულებებისა თუ ღირებულებების თვალსაზრისით. ამის მიზეზად კი მკვეთრად განსხვავებულ გარემომცველ რეალობას ასახელებენ. გლობალიზაციამ, ინტერნეტმა და, შესაბამისად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ განაპირობა ის, რომ მათი შეხედულებები უმეტესწილად განსხვავებულია მშობლების შეხედულებებისგან, რომელთაც მათ ასაკში განსხვავებულ რეალობასთან ჰქონდათ შეხება:

„ეგ ბუნებრივია, რომ თაობათაშორისი განსხვავებები სულ იყო, მარა რატომღაც მგონია, რომ დედაჩემი იმდენს არ უმალავდა ბებიაჩემს, რამდენსაც მე ვუმალავ, იმიტომ, რომ დედაჩემი საბჭოთა კავშირში დაიბადა და გაიზარდა და მე ინტერნეტის ეპოქაში გავიზარდე. ძალიან დიდი სხვაობაა ჩვენ შორის, თითქოს ნახტომი გავაკეთეთ და ამ ნახტომში დიდი უფსკრულივითაა და ძაან გვაშორებს ერთმანეთს...“

„შეცვლის პროცესში ვართ და მაგიტომ არის რაღაცები ძალიან რთული, რომ ჩვენი თაობა ცვლის ამ ღირებულებებს და რთული გასაგებები ვართ ჩვენი მშობლებისთვის და მგონია რომ უფრო დიდი წნეხის ქვეშ ვართ, ვიდრე სხვა ქვეყნის შვილები...“

ერთ-ერთმა რესპონდენტმა მშობლებზე საუბრისას აღნიშნა:

„ძალიან ახლოს არ ვუშვებ არასდროს, რადგან ჩემთვის, რაც შეიძლება, ჩვეულებრივი იყოს, მათთვის განსაკუთრებული ემოციების მომტანი შეიძლება იყოს.“

გლობალიზაცია და საკუთარი თავის გამორკვევა. რესპონდენტები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ აისახება მათზე „გაორებული“ რეალობა – ლოკალური და გლობალური ღირებულებების ერთმანეთთან დაპირისპირება, მშობლების თაობისა და მათი შეხედულებების განსხვავებები. მათი ღირებულებების განვითარება სწორედ ამ გაორებულ რეალობაში მიმდინარეობს, რომლის საფუძველზე საკუთარი თავის გამორკვევის პროცესი სირთულედ ესახებათ:

„სახლში გეუბნებიან რომ ქორწინებამდე სექსი არ უნდა გქონდეს, მაგრამ უყურებ ისეთ რაღაცას (მედია საშუალებით), სადაც ქორწინებამდე სექსი აქვთ და ყველაფერი კარგადაა... აი, როგორ უნდა იყო, დისჰარმონია გექნება, სულ მცირე ამბივალენტური დამოკიდებულება გექნება, რა თქმა უნდა, გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდები (ვიდრე დასავლეთის კულტურის წარმომადგენელი), ღირებულებათა სისტემები გაქვს ორი.“

ISSN2667-9825(online)

რესპონდენტი გვიყვება თავისი ღირებულებების და შეხედულებების ცვლილებაზე, როცა უფრო „პროგრესულ“ აზრზე გადავიდა, ამ ყველაფერს კი, რესპონდენტის პასუხის მიხედვით, საზღვარგარეთიდან შემოსულ ინფორმაციაზე წვდომა განაპირობებს:

„რაც ინგლისური ვისწავლე და უცხოური საიტების ყურება და კითხვა, უფრო და უფრო შემეცვალა წარმოდგენა. თუნდაც ის, თუ როგორ ცხოვბრობენ უცხოელები, რა ღირებულებები აქვთ, როგორ უყურებენ რაღაცებს, თუნდაც ჰომოსექსუალობას და ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მაგან, რომ დამოუკიდებლად დავიწყე ინფორმაციის მოძიება და მაგან შემიცვალა, რომ მთლად ისე არ არის, როგორც ამბობდნენ.“

ის, თუ როგორი იყო ეს პროცესი, იმავე რესპონდენტი ასე გვპასუხობს:

„საკმაოდ რთული. იმიტომ, რომ ბავშვობაში გამჯდარი აზრების შეცვლა ყოველთვის მტკივნეულია, რთულია, ჩამოყალიბებული აზრი აიღო და შეცვალო. იმიტომ, რომ რაღაცაზე წარმოდგენა რომ გაქვს და საპირისპირო მტკიცებულებას ხედავ მაგ წარმოდგენისას, მაგ გაგებით, საკმაოდ რთული იყო...“

სხვა რესპონდენტი გვიყვება საკუთარი თავის გამორკვევის პროცესზე:

„ყველაზე დიდი სირთულე ის იყო, რომ გავიგე, რომ ამდენი ხანი რისიც მწამდა და რაც იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, ეგ ჩამომენგრა თავზე და მეთქი ამდენი ხანი რა ტყუილად ვიყავი.“

რესპონდენტთა პასუხებიდან ჩანს, რომ გაორებული რეალობა გლობალიზაციით, ინტერნეტის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, კომუნიკაციის გაადვილებით არის განპირობებული, რომელთა საშუალებითაც გავრცელდა დასავლური ინფორმაციული ნაკადები, რაც წინააღმდეგობრივია ადგილობრივ ღირებულებებთან და იდენტობის ფორმირებისთვის გამოწვევას ქმნის. გლობალიზაციის პირობებში რთულდება საკუთარი თავის გამორკვევის, იდენტობის ფორმირების პროცესი (მაგ.: Hammack, 2008, Hermans, 2015). იდენტობის ფორმირება განსაკუთრებული გამოწვევაა არადასავლური კულტურებისთვის – არადასავლური კულტურებისთვის იდენტობის ძიება/ფორმირება უფრო რთული ამოცანაა, ვინაიდან ადგილობრივი და გლობალური ღირებულებები ინტერაქციის პროცესში ერთმანეთს ხშირად უპირისპირდებიან, ახალგაზრდებს უწევთ გლობალური და ლოკალური კულტურული ნაკადების გაერთიანება, რაც განაპირობებს იმას, რომ არადასავლურ კულტურებში ახალგაზრდებში იზრდება იდენტობის დაბნეულობა (Arnett, 2000; Ozark et al., 2019). რესპონდენტთა პასუხები ამის ილუსტრირებას ცხადად ახდენს.

ISSN2667-9825(online)

დასკვნა

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის შესწავლას. ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სწრაფადცვალებად და გლობალიზებულ სამყაროში, სადაც თანამედროვე ცვლილებებმა შეცვალა ადრე არსებული ზრდასრულობის ნიშნები, რამაც საფუძველი დაუდო იმის საჭიროებას, რომ ადამიანის განვითარების თეორიაში ახალი ხედვა წარმოჩენილიყო, რომელშიც გათვალისწინებულია ინდივიდისა და გარემოს კავშირი.

მოცემულ კვლევაში შევისწავლეთ ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდი, ის, თუ როგორი გამოცდილებებით ხასიათდება ეს პერიოდი. კვლევის შედეგად, გამოვლინდა ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში გადასვლის ამოცანები (ზრდასრულობის ნიშნები), ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდის მახასიათებლები, სოციო-კულტურული გარემოება და მასთან დაკავშირებული საკითხები.

შეჯამების სახით, კვლევის შედეგები შეგვიძლია დავალაგოთ შემდეგნაირად:

გამოკითხული ქართველი ახალგაზრდების ნარატივები გვიჩვენებს, რომ ზრდასრულად მიიჩნევა ის ინდივიდი, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობების აღება, არის დამოუკიდებელი და იცის რა უნდა – არის „ჩამოყალიბებული“. ზრდასრულობის აღქმა დამოკიდებულია კულტურულ მოცემულობაზე. ზრდასრულობის ნიშნები გვიჩვენებს ზრდასრულობის მიღწევის ამოცანებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდი.

კვლევის შედეგად შევძელით, დაგვენახა ქართველი ახალგაზრდების ზრდასრულობაში ტრანზიციის პერიოდი. ზრდასრულობაში ტრანზიცია შეგვიძლია, გამოვყოთ ცალკე პერიოდად, რომელსაც თავისი მახასიათებლები აქვს. ქართველი ახალგაზრდების მონაცემთა ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ზრდასრულობაში ტრანზიციის შემდეგი მახასიათებლები: ზრდასრულობაში ტრანზიცია ესაა გარდამავალი პერიოდი, მრავალი ცვლილებებისა და შესაძლებლობების, იდენტობის ძიების პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულობაში ტრანზიციის ეს მახასიათებლები ჰგავს ადრეული ზრდასრულობის (emerging adulthood) თეორიაში აღწერილ განზომილებებს, ადრეული ზრდასრულობა კულტურულადაა კონსტრუირებული – ზრდასრულობაში გადასვლის ამოცანები განსხვავებულია კულტურების მიხედვით, შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ მრავალმხირივი ასპექტების გათვალისწინება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, დაგვანახოს ადამიანის

ISSN2667-9825(online)

განვითარების მრავალფეროვნება. მოცემული კვლევის შედეგები მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ადრეული ზრდასრულობა კულტურულადაა კონსტრუირებული. მიუხედავად იმისა, რომ არნეტის თეორია წარმოადგენს მცდელობას, ადამიანის განვითარება დაგვანახოს ახალ დისკურსში – გლობალიზაცია, სწრაფად ცვალებადი გარემო – იმისათვის, რომ მის მიერ შემოთავაზებული თეორია გამოვიყენოთ ადამიანის განვითარების საინტერპრეტაციო მოდელად, მას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ, ადრეული ზრდასრულობის პერიოდის ადამიანის განვითარების განცალკევებულ, გამოყოფილ პერიოდად განხილვა, რომელიც შემოსაზღვრულია გარკვეული ასაკით, არ გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ ადამიანის განვითარება მიმდინარე მოვლენებთან მუდმივ დინამიკაში, არამედ გვაწვდის მეტ-ნაკლებად სწორხაზოვან წარმოდგენას ადამიანის განვითარების შესახებ.

მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით გამოვლინდა ის მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც ზრდასრულობაში ტრანზიციას და იდენტობის ფორმირებას აღწერს სწრაფადცვალებად და გლობალიზებულ გარემოში. რესპონდენტთა პასუხები ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ქართულ კულტურაში გლობალიზაციის შედეგად ადგილობრივი და გლობალური ღირებულებების ინტერაქციისა და ამ მოცემულობაში საკუთარი თავის გამორკვევის პროცესზე. რესპონდენტებმა ისაუბრეს ღირებულებების განსვლაზე, რაც ადგილობრივი და გლობალური (დასავლეთიდან შემოსული) ღირებულებებისა და წარმოდგენების ინტერაქციის შედეგია, ამ მოცემულობაში კი მათ წინაშე გაორებული რეალობა ისახება, რაზეც მათივე პასუხები მიუთითებს. ამ გაორებულ რეალობაში კი ორიენტირება რთული პროცესია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვინაიდან ადამიანის ცხოვრება და განვითარება გარემოში მიმდინარე პროცესებთანაა გადაჯაჭვული და ურთიერთდამოკიდებული, მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარების დანახვა ინდივიდი-გარემოს ინტერაქციის ჩარჩოში და იმის გათვალისწინება, რომ ინდივიდისა და კულტურის ერთმანეთთან კავშირი ურთიერთგანმაპირობებელი, დინამიკური და განვითარებადია. საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია სხვადასხვა დისციპლინაში მოპოვებული ცოდნის ინტეგრირება და უფრო ფართო პერსპექტივის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადამიანის განვითარებასთან დაკავშირებული მრავალმხრივი ასპექტები, რაც უფრო სრულ წარმოდგენას მოგვცემს ადამიანის განვითარების შესახებ. ეს კვლევაც სწორედ ამის მცდელობას წარმოადგენს.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო რეკომენდაციები

კვლევის მნიშვნელობასთან ერთად კვლევას ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, კვლევას აკლია მრავალფეროვნება შერჩევის შიგნით და ვერ განვაზოგადებთ

ISSN2667-9825(online)

საქართველოში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდაზე. სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მაცხოვრებელი ახალგაზრდების გამოკვლევაც იმისათვის, რომ მეტად დავინახოთ ადამიანის განვითარების მრავალფროვნება, შესაძლებელია, გამოვლინდეს ინტრაკულტურული ვარიაციები ან/და გამოიკვეთოს ახალი თემები კვლევის საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), (2014). ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში: საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი.

გამსახურდია, ვ. (2016). *ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში* (სადოქტორო დისერტაცია). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სურმანიძე, ლ. (2010). *კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში.* თბილისი: უნივერსალი.

Arnett, J. J. (1997). Young people's conceptions of the transition to adulthood. *Youth & Society, 29*(1), 3–23.

Arnett, J. (1998) Learning to stand alone: the contemporary American transition to adulthood in cultural and historical context. *Human Development* 41, 295-315.

Arnett, J. J. (2000). Emerging adulthood: A theory of development from the late teens through the twenties. *American Psychologist*. 55 (5), 469–480.

Arnett, J. J. (2002). The Psychology of Globalization. *The American psychologist*. 57, 774-83.

Arnett, J. J. (2006). Emerging Adulthood: Understanding the New Way of Coming of Age. In J. J. Arnett & J. L. Tanner (Eds.), *Emerging adults in America: Coming of age in the 21st century* (pp. 3-19). Washington, DC, US: American Psychological Association.

Arnett, J. J. (2015). *Emerging Adulthood: The Winding Road from Late Teens through the Twenties.* 2nd ed. New York: Oxford University Press.

Braun, V. and Clarke, V. (2006) Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology, 3* (2). pp. 77-101. ISSN 1478-0887.

ISSN2667-9825(online)

Côté, J. E. (2000). *Arrested adulthood: the changing nature of identity and maturity in the late-modern world.* New York, New York University Press.

Côté, J. E., & Levine, C. G. (2014). *Identity formation, agency, and culture: A social psychological synthesis (2nd Ed.)*. Philadelphia, PA: Psychology Press.

Erikson, E. H. (1950) *Childhood and Society*. New York: Norton.

Freud, S. (1905). Freud, S. (1905). Three Essays on the Theory of Sexuality. *The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud, Volume VII (1901-1905): A Case of Hysteria, Three Essays on Sexuality and Other Works*, pp. 123-246.

Furlong, A. (2013). *Youth Studies: An Introduction*. New York: Routledge.

Gamsakhurdia, V. L. (2019). Making Identity, Proculturation In-between Georgianness and Westernness. *Human Arenas*. 10.1007/s42087-019-00062-0.

Hammack, P. L. (2008). Narrative and the Cultural Psychology of Identity. *Personality and Social Psychology Review*, *12*(3), 222–247.

Hendy, L. B. & Kloep, M. (2010). How universal is emerging adulthood? An empirical example. *Journal of Youth Studies*, 13:2, 169-179, DOI: 10.1080/13676260903295067

Hermans, H. J. M. (2015). Human development in today's globalizing world: Implications for self and identity. In Jensen, L. A. (Ed.): *The Oxford handbook of human development and culture: An interdisciplinary perspective* (pp. 28–42). New York, NY: Oxford University Press.

Hill, J. M, Lalji, M, Van Rossum, G., Van der Geest, V. R., Blokland, A. A.J. (2015) Experiencing emerging adulthood in the Netherlands. *Journal of Youth Studies* 18(8): 1035–1056. DOI: 10.1080/13676261.2015.1020934

Levinson, D. J. (1986). A conception of adult development. *American Psychologist*, *41*(1), 3–13.

Maguire, M., & Delahunt, B. (2017). Doing a Thematic Analysis: A Practical, Step-by-Step Guide for Learning and Teaching Scholars. *AISHE-J: The All Ireland Journal of Teaching and Learning in Higher Education 9*(3), 3351-33514.

Markus, H. R., & Kitayama, S. (1991). Culture and the self: Implications for cognition, emotion, and motivation. *Psychological Review*, *98*(2), 224-253.

Miles, A. (2000). Poor Adolescent Girls and Social Transformations in Cuenca, Ecuador. *Ethos 28*(1), 54-74.

ISSN2667-9825(online)

Miller, J. M. (2017). Young or Emerging Adulthood: A Psychoanalytic View. *The Psychoanalytic Study of the Child, 70*(1), 8-21.

Nelson, L. J., Badger, S., & Wu, B. (2004). The influence of culture in emerging adulthood: Perspectives of Chinese college students. *International Journal of Behavioral Development, 28*(1), 26–36.

Ozer, S., Meca, A., & Schwartz, S. J. (2019). Globalization and identity development among emerging adults from Ladakh. *Cultural Diversity and Ethnic Minority Psychology, 25*(4), 515–526. DOI: 10.1037/cdp0000261

Schlegel, A., & Barry, H. III. (1991). *Adolescence: An anthropological inquiry.* Free Press.

Shaffer, D. and Kipp, K. (2010). *Developmental psychology: childhood and adolescence* (8th ed). Belmont, CA: Wadsworth).

Seiter, L. N., & Nelson, L. J. (2011). An Examination of Emerging Adulthood in College Students and Nonstudents in India. *Journal of Adolescent Research, 26*(4), 506–536.

Sokol, Justin T. (2009). Identity Development Throughout the Lifetime: An Examination of Eriksonian Theory. *Graduate Journal of Counseling Psychology, 1*(2), Article 14.

Surmanidze, L. & Tsuladze, L. (2010). Georgians' Perception of Mental Concepts in the Context of Value of Family. *Moldoscopie (Probleme De Analiza Politica),* N 1 (XLVIII), 119-127.

Tsuladze, L. (2011). Youth Identities through Bricolage in a Changeable Society: The Case of Georgia. In K. Gallagher (Ed.), *Multiculturalism: Critical and InterDisciplinary Perspectives,* (pp. 67-76). Oxford: Inter-Disciplinary Press.

Tsuladze, L. (2012). How Things Are Remade Georgian: Globalization and the Assertion of 'National' among Georgian Youth. In G. Tsolidis, (Ed.), *Identities in Transition* (pp. 93-102). Oxford: Inter-Disciplinary Press.